

ქ. თბილისში, სოფელ დილომში, თეთრი გიორგის ქუჩისა და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე განთავსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. თბილისი

25.03.2020წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი პაპავა – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

გიორგი აბუთიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

ირინა ჭეიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

ერეკლე სუბიტაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

გაიოზ თალაკვაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

ვლადიმერ სირაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

აპარატის წევრები:

გივი ჭუმბურიძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ირაკლი ბენდელიანი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე.

სერგო ბირკაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი).

ნელი ღვინფაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე).

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, სოფელ დილომში, თეთრი გიორგის ქუჩისა და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე განთავსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი პაპავას გამოსვლა, რომელმაც სხდომას წარმოუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მოთხოვნის წერილით (№14-01200782265) და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობები.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური პირობები, მსჯელობის შედეგად შეიტანეს მასში ცვლილებები და მიზანშეწონილად მიიჩნიეს აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.


კომისიამ დაადგინა:

- 1) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია თანდართული რედაქციით.
- 2) მოხდეს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (აბრევიატურა: NAT).


კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

 /გიორგი პაპავა/

კომისიის წევრი

 /გიორგი აბულაძე/

კომისიის წევრი

 /ირინა ჭეიშვილი/

კომისიის წევრი

 /ერეკლე სუბიტაშვილი/


კომისიის წევრი

 /გაიოზ თალაკვაძე/

კომისიის წევრი

 /ვლადიმერ სირაძე/

აპარატის წევრი

 /გივი ჭუმბურიძე/

სატენდერო განცხადების პროექტი

- ტენდერის ტიპი: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.
- შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 30 000 ლარი
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ–ს ჩათვლით.
შესყიდვის ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი:
71320000 - საინჟინრო - საპროექტო მომსახურება;
71351000 - გეოლოგიური, გეოფიზიკური და სხვა სამეცნიერო-კვლევითი მომსახურებები;
71351900 - გეოლოგიური, ოკეანოგრაფიული და ჰიდროლოგიური მომსახურებები;
71351913 - გეოლოგიური კვლევები;
71355000 - გეოდეზიური მომსახურებები;
- შესყიდვის ობიექტის დამატებითი ინფორმაცია:
ქ. თბილისში, სოფელ დილოშში, თეთრი გიორგის ქუჩისა და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე განთავსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.
- დაფინანსების წყარო - 2020 წლის ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით
- შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა:
იხ. სატენდერო დოკუმენტაცია.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).
- შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: 150 ლარი

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩისა და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე განთავსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

საპროექტო ობიექტის მდებარეობა და მოკლე აღწერა:

სარეაბილიტაციო ხიდი მდებარეობს ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩაზე, რომელიც სოფელი დიღმის დასახლებას აკავშირებს სოფლის სასაფლაოსთან (სქემატური ნახაზი წარმოდგენილია ორთოფოტოს სახით). საავტომობილო ხიდი აწეხენულია მე-20 საუკუნის დასაწყისში, რომელიც თაღოვანი ტიპისაა და აშენებულია ქვის წყობით. მისი გეომეტრიული პარამეტრებია: მალი - 11 მ; სიგანე - 4,5 მ; სიმაღლე - 10-12მ;

ხიდზე აღინიშნება რიგი დეფექტები და დაზიანებები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსტრუქციების ხანმდეგობასა და რესურსზე. აქვეითებენ ნაგებობის საექსპლუატაციო მახასიათებლებს.

ხიდური გზაგამტარის შემოწმებისას გამოვლინდა შემდეგი დეფექტები და დაზიანებები.


- ხიდის თაღში ლოკალურად დაზიანებულია ქვის წყობა;
 - დაზიანებულია თაღის რკინაბეტონის ნაწილი, მასში გაჩენილია ბზარები, ადგილობრივად მოშლილია ბეტონის დამცავი შრე, ხოლო გამიშვლებული არმატურა კოროზირებულია;
 - ხიდის საყრდენი ბურჯები მოწყობილია კლდოვან ქანებზე, რომელთა ზედაპირი ატმოსფერული ნალექებისა და მდინარის წყლის ნაკადის ზემოქმედებით გამოფიტულია.
 - ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ხიდის კონსტრუქციას, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, განცდილი აქვს ასაკობრივი ფიზიკური ცვეთა.
- ხიდის რეაბილიტაციის დაპროექტება უნდა მოხდეს მშენებლობის, ექსპლუატაციის და უსაფრთხოების ოპტიმალური კრიტერიუმების დაცვით, ხიდის გამოკვლევა-გამოცდის დასკვნის გათვალისწინებით (სსიპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ზიურო“-ს გამოკვლევა). ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან;

დავალების მიზანი:


სოფელ დიღომში, თეთრი გიორგის ქუჩის და სოფლის სასაფლაოს დამაკავშირებელ გზაზე განთავსებული ხიდი საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას დეტალური გამოკვლევის საფუძველზე დამუშავებული სათანადო პროექტის მიხედვით.

მიწოდებელმა უნდა მოახდინოს პროექტის საავტორო ზედამხედველობა სამუშაოების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება დამკვეთთან შეთანხმებით.



შენიშვნა: ტექნიკური დავალება და ორთოფოტო ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

 ტექნიკური დავალება.pdf

 ორთოფოტო.pdf

 ხიდის ექსპერტიზის დასკვნა.PDF

1.3 ატვირთეთ ფაილების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

  დანართი N 1.pdf

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

1.4.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალში შესვლიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩაძვლით).

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. 7, ქ. თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური.

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

არა

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და ცწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

კი

2.2.1 მიუთითეთ პრეტენდენტის გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები



პრეტენდენტს 2017 წლის 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 150%-ის ღირებულების, ხიდ(ებ)ის ან/და გზაგამტარ(ებ)ის ან/და ესტაკად(ებ)ის მშენებლობის ან/და მოდერნიზაციის ან/და რეკონსტრუქციის ან/და რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის, მათ შორის ერთ ობიექტზე არანაკლებ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ღირებულების მომსახურების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N 2-ით გათვალისწინებულ ცხრილში (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია - ხელშეკრულებ(ებ)ი, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა))(დანართი N 2).

შენიშვნა: წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია გამოცდილების შესახებ დანართი N 2-ის შესაბამისად.



დანართი N 2.pdf

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

არა

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივ მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ.

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

არა

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

☞ შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

☞ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

არა

4.1.3 მიუთითეთ კონკრეტულად თუ რის საფუძველზე არ იქნა გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება

შესყიდვის თავისებურებიდან (მომსახურების სპეციფიკიდან) გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ანტიელექტულურ მომსახურებას, ხოლო ინტელექტუალური მომსახურების დანახარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადამიანური რესურსის შრომითი გასამრჯელო, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული ინტელექტუალური მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

☞ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

☞ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

☞ ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

ანგარიშსწორება მოხდება უნააღლო ანგარიშსწორებით ლარში.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება მოხდება 2020 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ირაკლი ბრეგვაძე, 599729939, bregvadze.irakli@yahoo.com ტელ:+59932 237 85 72. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი: ბ-ნი ერეკლე სუხიტაშვილი, ტელაუფონის ნომერი: 591 01 24 22, ელ.ფოსტა: infrastructure@tbilisi.gov.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

10.1.1 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

10.1.2 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

10.1.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი (არ ვრცელდება სატენდერო დოკუმენტაციის N 2 დანართზე) ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება). პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N 1-ის შესაბამისად წარმოსადგენ ინფორმაციაზე სავალდებულოა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა.

10.1.4 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

10.1.5 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

10.1.6 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები და ხელმოწერი პირების უფლებამოსილება დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

1. მომსახურების ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი N 1-ის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენილობა ან/და განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).

2. ინფორმაცია გამოცდილების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას დანართი N 2-ის შესაბამისად.

შენიშვნა: სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წარმოგენილ, უცხო ქვეყანაში შედგენილ დოკუმენტზე ხელმოწერები და ხელმოწერი პირების უფლებამოსილება დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის ან შესაბამისი საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის ხელმოწერა - ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული.

☞ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი